ლიდერის კვალდაკვალ

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 3 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “ნეფტიანიკი” (ბაქო) 2:0.

“ნეფტიანიკი”: კოსენკოვი, ახუნდოვი, სიომინი, ჯალილოვი, ბრუხტი, ტროფიმოვი, ტუაევი, გოლოდეცი, კუზნეცოვი, მარქაროვი, ალესკეროვი (გრიაზევი).

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი, მეტრეველი, კალოევი, ბარქაია (იამანიძე), მესხი.

მსაჯი ს. არხიპოვი (მოსკოვი).

უხეშობა. ამ ბოლო ხანებში პრესაში სულ უფრო ხშირად გაისმის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე ნამდვილ სპორტულ თამაშს ცვლის დაუფარავი, მოურიდებელი უხეშობა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელთა წინააღმდეგ მცველები ხშირად მიმართავენ არა მარტო აკრძალულ ილეთებს, არამედ ტლანქად არღვევენ ჭეშმარიტი სპორტული ეთიკის კანონებს და უხეშობას იყენებენ როგორც მოწინააღმდეგესთან ბრძოლის ძირითად მეთოდს.

გუშინდელ მატჩში მსაჯი ს. არხიპოვი იძულებული იყო 53-ე წუთზე მინდვრიდან გაეძევებინა “ნეფტიანიკის” მარჯვენა მცველი ტ. ახუნდოვი და “დინამოს” მარცხენა გარემარბი მ. მესხი. რა თქმა უნდა, მესხს გასამართლებელი საბუთი არა აქვს. მან აშკარად მოარტყა ფეხი თავის მოწინააღმდეგეს, მაგრამ ეს იყო აფექტში მყოფი სპორტსმენის თავშეუკავებელი საქციელი მეტოქის მიმართ, რომელიც სისტემატურად, როგორც წესი, მთელი თამაშის მსვლელობაში უხეშად ებრძოდა მას და ცდილობდა მწყობრიდან გამოეყვანა იგი. ფიზიკურად ძლიერი აგებულების ახუნდოვი თვითეული შეტაკების შემდეგ თითო წიხლს უტოვებდა მესხს “სამახსოვროდ” და მას ამაში არ ჩამორჩებოდნენ უახლოესი პარტნიორები - სიომინი და ჯალილოვი. რამდენადაც კორექტულად, სპორტული კეთისლინდისიერებით თამაშობდნენ ბაქოელთა თავდამხმელები, იმდენად ანტიპოდური იყო ზემოაღნიშნული ფეხბურთელების მოქმედება. შედეგი მეტად სავალალოა: ორი გაძევებული მოთამაშე.

“ნეფტიანიკმა” მატჩის დაწყებიდანვე მიზნად დაისახა მინდვრის შუაგულის დაპყრობა, რაც გამართლებული იყო ნახევარდაცვისა და უკან დაწეული კუზნეცოვის კარგი ურთიერთმოქმედებით. ტერიტორიულ უპირატესობას ბაქოელებმა მიაღწიეს კიდეც და ამ დიდნმიშვნელოვან ბრძოლაში ძალზე სუსტად გამოყურებოდა თბილისელთა ნახევარდაცვის ხაზი: დათუნაშვილი-პეტრიაშვილი. მართალია, პირველი ვრცელ ტერიტორიაზე თამაშობდა, მაგრამ უმიზნოდ ტოვებდა თავის ადგილს და საშუალებას აძლევდა მოწინააღმდეგეს შეუფერხებლად ეწარმოებინა კომბინაციები, ხოლო რაც შეეხება პეტრიაშვილს, მისი გადაცემები მოკლებულია ელემენტარულ, სრულიად მარტივ სიზუსტეს. საკმარისი იყო ბურთი მოხვედრილიყო მის ზონაში და იგი მაშინვე ბაქოელთა მისამართით იგზავნებოდა.

ასეთ პირობებში ბრძოლა გამარჯვებისათვის უაღრესად გაძნელდა. ხსნა მოვიდა მარჯვენა ფლანგიდან, სადაც მეტრეველი შესანიშნავად თამაშობდა და სრულ დაძაბულობაში ჰყავდა მოპირდაპირე დაცვა. აუცილებელი აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ზეინკლიშვილი, რომელმაც მთელი ძალით, მთელი აზარტით იბრძოლა თავისი გუნდის წარმატებისათვის.

ანგარიში გახსნილ იქნა 35-ე წუთზე. მეტრეველი სწრაფად გავიდა თავის ფრთაზე და გადასცა ბურთი კალოევს. ცენტრალურმა ფორვარდმა კომბინაცია

გააგრძელა მარცხნივ, სადაც თავისუფალ პოზიციაში გავიდა მესხი. ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა ახუნდოვს, შეიცვალა მიმართულება და აღმოჩნდა კარში - 1:0.

43-ე წუთზე მესხმა და ზეინკლიშვილმა წამით შეიცვალეს ადგილები და მარცხენა ფლანგიდან გარღვევაზე გავიდა მცველი. მისი დაჭერა ხელით სცადა სიომინმა და ვერ შეძლო ეს, რის შემდეგ მან უკანასკნელი საშუალება გამოიყენა: ზეინკლიშვილი უხეშად იქნა საქცეული საჯარიმო მოედანზე. მეტრეველმა ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო - 2:0.

ძალზე დაძაბული ხასიათი მიეცა ბრძოლას მეორე ტაიმში. ბაქოელები მთელი თავიანთი შესაძლებლობით იბრძოდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ დინამოელთა დაცვა სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდა. ამ გამარჯვების შემდეგ თბილისის "დინამო" ისევ კვალდაკვალ მიჰყვება ლიდერს - მოსკოვის "დინამოს".

რ. ქორიძე.
"ლელო", 4 სექტემბერი, 1963 წ.